

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი 040855  
პროფესიული სტანდარტი

## I სფეროს აღწერა

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის სფერო არის ტექნიკური და სამრეწველო ექსპლუატაცია, დეტალების დამზადება, მზა დეტალებისაგან კვანძების და ნაკეთობების აწყობა-დაშლა, ნაკეთობების გამართვა, რეგულირება, გაშვება, რემონტი-მოდერნიზაცია, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენა მანქანა-დანადგარების დიაგნოსტიკა და გამოცდა.

## II დასაქმების სფერო

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი არის პერსონალი, რომელიც ამზადებს, აწყობს, არემონტებს, არეგულირებს მანქანა-დანადგარებს მანქანათმშენებელ წარმოებებში, სარემონტო და გასამართ, სამშენებლო, საგზაო-სამშენებლო დაწესებულებებში, რკინიგზის, პორტების, კვების, სასოფლო-სამეურნეო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებში.

## III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

#### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი და თითოეულ დონისათვის შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% - სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მესამე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტების ტექნიკოსი პროფესიული კვალიფიკაცია.

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 50 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მეოთხე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტების ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 50 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მეხუთე საფეხურის ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტების ტექნიკოსი პროფესიული კვალიფიკაცია.

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების სტრუქტურული აგებულების ცოდნა. სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების და მათი გამოყენების ცოდნა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.	შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საწარმოო დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. სპეციალური მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა.
დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება, პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გაზიარება.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	იცავს მექანიკის ინჟინერიის სფეროში ტექნიკური ნორმებს, პროფესიული ეთიკის ნორმებს. იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

**ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციული აგებულება და მუშაობის პრინციპები. აცნობიერებს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს. აქვს: სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენების და შესაძლებლობების ცოდნა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა. ტვირთამწევი მანქანებისა და ლიფტების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების ცოდნა. უცხოური ენის ცოდნა ტექნიკური ინფორმაციის წაკითხვისა და გაანალიზებისათვის საჭირო დონეზე.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და შეასრულოს საწარმოო დავალებები ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტული საწარმოო პირობების შესაბამისად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. დამოუკიდებლად აითვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. პროფესიული ინფორმაციის უცხოურ ენაზე დამუშავება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.</p>	<p>შეუძლია შემდგომი განათლების მიმართულების დამოუკიდებლად განსაზღვრა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში. შეუძლია ახალი ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, ანალიზი და დანერგვა სამუშაო პროცესში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.</p>	<p>იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის ნორმებს. მექანიკის ინჟინერიის სფეროს მორალურ-ეთიკურ და სამართლებრივი ნორმებს, დარგობრივ და საერთაშორისო ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებს, აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.</p>

ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციულ-კინემატიკური აგებულების, მუშაობის პრინციპების და გაანგარიშების საფუძვლების ცოდნა. აცნობიერებს მექანიკის ინჟინერიის შესაძლებლობებს (საზღვრებს). თანამედროვე ახალი მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენების და შესაძლებლობების ცოდნა. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა და აცნობიერებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე. ტვირთამწევი მანქანებისა და ლიფტების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების ცოდნა. უცხოურ ენაზე ადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და შესრულებული სამუშაოების ანგარიშს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და აკონტროლოს საწარმოო დავალებების შეასრულება ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. უბანზე მათი გამოყენების პერიოდული მონიტორინგი. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტულ საწარმოო პირობებში. ამ საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, საჭირო მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის ხარისხიანად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია პროფესიული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხოურ ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. იცის, როგორ გადაამუშაოს უახლესი ინფორმაცია პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად, როგორ დანერგოს სამუშაო პროცესში. შეუძლია გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი.</p>

ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა და პასუხისმგებლობა. დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა და პასუხისმგებლობა. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებს. ზრუნავს სამუშაო პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე.
--------------	---	--